# საქართველოს მთავრობის
# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№456 2020 წლის 5 მარტი ქ. თბილისი

**„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №223 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №223 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

**ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) არა უმეტეს 8 495 000 (რვა მილიონ ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა მიიმართოს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების შესაბამისად;";

**ბ) „ბ" ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ" ქვეპუნქტი:**

„გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის 1 505 000 (ერთი მილიონ ხუთას ხუთი ათასი) ლარის გამოყოფა დუშეთის მუნიციპალიტეტის შატილის სკოლა-პანსიონის (პანსიონური მომსახურების გამწევი სკოლა) მშენებლობისათვის.".

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი გახარია**